



MES 6 21 0000287434



26/03/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 12 მარტს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/83189281187?pwd=TDk4bi9PVG5SWmVwWjUwMUV5WWVZUT09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნატო მეტურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**თამაზ ბახტაძე** -საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე თოხაძე** - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდლაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**დაწესებულების წარმომადგენელი:**

**შპს არსი:**

ნათია ნოზაძე - დირექტორი

**სსიპკოლეჯი „იბერია“:**

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

იური მესხორაძე - პროგრამის განმახორციელებელი,

ბერიკა უშვერიძე - მატერიალური შესყიდვების კოორდინატორი.

**შპს MAGNIUM+:**

რომანი ზაალიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი/ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელი,

არჩილ დალაქიშვილი - კომპანიის გენერალური მენეჯერი,

სულხან სულაძე - მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,

სიმონ ბარამიძე - მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,

ლაშა კვირიკაშვილი - მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,

გიორგი მარტყოფლიშვილი - მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,

აკაკი ჟღენტი - მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,

გიორგი გრძელიძე - სტრატეგიული პროექტების ხელმძღვანელი,

სოფო ფიროსმანაშვილი - აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

**ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი:**

ნათია ნამიჭიშვილი - აღმასრულებელი დირექტორი,

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

მამუკა ხოშტარია,

გიორგი ბერუაშვილი,

მაია ხურცილავა,

დარეჯან კვატაშიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ - „დურგალი“ /00934/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს MAGNIUM+ -სთვის - „VRF & VRV სისტემების მომსახურება“ /00998/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

3. შპს არსისთვის – „კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ /00990/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ /01005/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადთან“ დაკავშირებით, ლანა გაჩეჩილაძემ, საბჭოს ცნობის სახით მიაწოდა ინფორმაცია: 2020 წლის 5 აგვისტოს საბჭომ ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ მიანიჭა უფლება „დეკორატიული მცენარეების გამრავლების“ პროგრამის განხორციელებაზე და საბჭომ რეკომენდაცია გასცა, სანამ მიღებას გამოაცხადებენ, დაზუსტებულიყო პროგრამაში რომელ დეკორატიულ მცენარეებზე იქნებოდა სწავლება და აგრეთვე დაზუსტებულიყო ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან. აღნიშნულის საფუძველზე კოლეჯმა ცენტრში წარმოადგინა წერილი № 192939 (04.03.2021).

ლანა გაჩეჩილაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგს დაემატოს „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ „დეკორატიული მცენარეების გამრავლების“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 5 აგვისტოს №666066 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

**საბჭო დაეთანხმა შუამდგომლობას და კენჭისყრით დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:**

1. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ - „დურგალი“ /00934/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს MAGNIUM+ -სთვის - „VRF & VRV სისტემების მომსახურება“ /00998/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს არსისთვის – „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ /00990/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ /01005/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ „დეკორატიული მცენარეების გამრავლების“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 5 აგვისტოს №666066 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

**1. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ - „დურგალი“/00934/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამასთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა ერთთვიანი ვადა. დათქმულ დროში დაწესებულებამ წარმოადგინა გასწორებული პროგრამა და განმეორებითი შესწავლა მოხდა მხოლოდ პირველ სტანდარტთან მიმართებით. მომზადების პროგრამა „დურგალი“ არის მესამე დონის, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში -14. განმეორებითი შეფასებისას სტანდარტის დარღვევა არ ფიქსირდება. დარჩა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ამ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის.

რა იყო და რა გამოსწორდა, ამაზე რომ ისაუბროთ, მიმართა საბჭოს თავმჯდომარემ, რაზედაც ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა, რომ წინა დასკვნაში **1.3 ქვესტანდარტში** დაფიქსირებული იყო ხარვეზი:

პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანი იყო: უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება დურგლის პროფესიის სფეროსთვის, რომელმაც იცის ხის დამუშავებისთვის საჭირო ჩარხების, დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, ესკიზის მიხედვით ხის ნაკეთობათა დამზადება და დამუშავება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება. ავეჯის შეკეთება მოითხოვს უფრო მაღალ კომპეტენციას ვიდრე მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულ დურგალს ექნება აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ავეჯის შესახებ თემატიკა. ამავდროულად, ავეჯის რესტავრაცია დაკავშირებულია ქიმიურ დამუშავებასთან და მაღალკვალიფიციურ დურგლის სამუშაოებთან (ხეზე მხატვრული კვეთა, სახარატო სამუშაოების ცოდნა). ეს იყო დაფიქსირებული პირველ დასკვნაში, რაც ამ ეტაპზე გასწორებულია და დაზუსტებულია როგორც პროგრამის მიზანი, ასევე დამატებულია დამატებითი თემატიკები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დარგის ექსპერტმა მიიჩნია, რომ ხარვეზი გასწორებულია.

შემდეგი ხარვეზი დაფიქსირდა **1.8 ქვესტანდარტში**. გასაუბრებით დადგინდა, რომ პრაქტიკულ სავარჯიშოებთან ერთად მსმენელებს მიეწოდებათ სწავლის შედეგის თემატიკის შესაბამისი თეორიული მასალაც, თუმცა პროგრამაში სწავლის მეთოდებად მითითებული არაა ლექცია ან ინტერაქციული ლექცია. სწავლების მეთოდები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამ ეტაპზე განახლებულ პროგრამაში ადეკვატურად არის მითითებული სწავლის მეთოდები, ამდენად გასწორებულია ხარვეზი.

**1.10 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით დაფიქსირებული იყო ხარვეზი, რომ მათ მიერ დამტკიცებული:

(2020 წლის 13 ნოემბრის №260 ბრძანება) სსიპ კოლეჯი „იბერიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, არ ითვალისწინებდა პროფესიული სტუდენტის შეფასებას. წინა საბჭოზე დაწესებულებამ წარმოადგინა გასწორებული დოკუმენტი, ამდენად ხარვეზი უკვე გასწორებულია.

**3.4 ქვესტანდარტი:** „პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ არ ითვალისწინებდა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სპეციფიკას და შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. ეს ხარვეზიც წინა საბჭოს სხდომის დროს გასწორებული იყო.

რაც შეეხება წინა დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს, უმრავლესობა გათვალისწინებულია, კერძოდ:

**1.1 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია, სსიპ კოლეჯმა „იბერიამ“ წარმოადგინოს ადგილობრივი ბაზრის კვლევა, ადგილობრივ კომპანიებთან, რომელიც ფუნქციონირებს ხის დამუშავების და ავეჯის ინდუსტრიაში.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კოლეჯი გეგმავს ამ მიმართულების, შინაარსის, გრძელვადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებას და ამ მიზნით ჩატარდება ადგილობრივი ბაზრის კვლევა, რაც ამავდროულად რელევანტური იქნება წარმოდგენილი მოკლევადიანი მომზადების „დურგლის“ პროგრამისთვისაც.

**1.2 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია პროგრამაში პირველი სწავლის შედეგში, თემატიკის სახით დაემატოს „მერქნული მასალები“. ასევე, ვინაიდან ხის დამუშავება და ავეჯის დამზადება შესულია მომეტებული საფრთხის შემცველ პროფესიებში, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისი თემატიკა უნდა გასდევდეს პროგრამას ყოველკვირეულად. წარმოდგენილ პროგრამაში მხოლოდ მესამე, მეხუთე, მეცხრე და მეთერთმეტე კვირაშია უსაფრთხოების შესაბამისი თემატიკა. განახლებულ პროგრამაში უკვე დამატებულია ეს თემატიკა და ასევე უსაფრთხოების წესებიც დამატებული აქვთ ყოველკვირეულად.

**1.3 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს, რომ ხის ნაკეთობათა დამზადება და დამუშავება მოხდება შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით.

რეკომენდებულია, მიზანში „ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება“ დაზუსტდეს ჩანაწერით „დაზიანებული ხის ნაკეთობების შეკეთება“. განახლებულ პროგრამაში რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

**1.4 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია, ვინაიდან ხის დამუშავება და ავეჯის დამზადება შესულია მომეტებული საფრთხის შემცველ პროფესიებში, აპლიკანტმა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა-ფორმა №100. ეს არის რეკომენდაცია, რომელიც დარჩა ახალ დასკვნაშიც. დაწესებულებას აქვს თავისი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით და განმარტავენ.

**1.7 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია, პროგრამაში გაიზარდოს საათობრივი დატვირთვა შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით. რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

**1.8 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია, სწავლის მეთოდად, შესაბამის კვირებში, ასევე მითითებული იყოს ლექცია ან ინტერაქციული ლექცია. რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

**1.10 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია, ცვლილება განხორციელდეს სსიპ კოლეჯი „ბერიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში და გათვალისწინებული იქნეს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების სპეციფიკა. ასევე, აღნიშნული წესის მუხლი 19-ში გათვალისწინებული იქნეს მსმენელთა შეფასების სისტემა. რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

ამრიგად, წინა დასკვნაში დაფიქსირებული მხოლოდ ერთი რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ, სხვა დანარჩენი - გათვალისწინებულია.

გიორგი გამყრელიძეს აინტერესებდა დარგის ექსპერტს, რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია ფორმა №100-ის მოთხოვნა. პირადად მას ბევრჯერ აუღია ეს ფორმა, თუმცა რეალურად არავის არ შეუმოწმებია. რეალურად, ვიზუალური შემოწმებაც კი არ ხდება ადამიანების.

დარგის ექსპერტი მამუკა ხოშტარია დაეთანხმა მას, რომ შესაძლოა ფორმალურად გაიცეს ეს ცნობა. რამე უბედური შემთხვევა, რომ მოხდეს დაწესებულებას ეკისრება ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ ეცადნენ ყველა რეკომენდაცია გაესწორებიათ და ფიქრობენ, რომ პროგრამა უფრო სრულყოფილი გახდა. ხოლო, რაც შეეხება რეკომენდაციას, ფორმა №100-ის შესახებ, ამაზე წინა საბჭოზე ისაუბრეს, ასეთი საფრთხის შემცველი არის ყველა პროგრამა, რომელიც მათთან ხორციელდება. რაც შეეხება ამ რეკომენდაციას, ეს რეკომენდაცია ჯერჯერობით დატოვეს, მათ ჰყავთ შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, სახელოსნოში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები და აუცილებლობა. ასევე მასწავლებლებს ვალდებულება აქვთ ალებული, ყოველი გაკვეთილის წინ შეახსენონ და ყურადღება მიაქცივინონ მსმენელებს შრომის

უსაფრთხოების წესებზე. აღნიშნა, რომ მათ აქვთ გამოცდილება, 7 წელია ამ მიმართულების პროგრამას ახორციელებენ და კურსდამთავრებული სტუდენტები, მათ შორის შშმ პირები დღესაც აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა ხის დამამზადებელ საწარმოებში. მათ შესახებ აქვთ ინფორმაცია, რომ ისინი ძალიან რუტინულად, მონდომებით ეკიდებიან თავიანთ სამუშაოს. რისკის შემცველი არის ყველა პროფესია, რომელიც კოლეჯში ხორციელდება, მაგრამ შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, თვითონ მასწავლებელი, მზად არიან ყველა დღე დაიწყონ უსაფრთხოების წესებზე საუბრით.

საფრთხის შემცველ პროგრამაზეა საუბარი, აღნიშნა დარგის ექსპერტმა და ეს მისი რეკომენდაცია იყო.

მარიკა ზაქარეიშვილმა გამოთქვა საკუთარი შეხედულება. რეკომენდაცია აბსოლუტურად რელევანტურია. თუ არსებობს დარგის რაიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის თანახმად ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობაა საჭირო და ამ სახის პროგრამაზე ყველა ტიპის ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მსმენელი ვერ მივა, მაშინ ეს უნდა გავითვალისწინოთ.

საბჭოს წევრებმა ნათია კვიციანმა, თორნიკე თოხაძემ, მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნეს, რომ იზიარებენ ექსპერტის რეკომენდაციას ფორმა №100 -თან დაკავშირებით.

ნანი დალაქიშვილმა ურჩია დაწესებულებებს დარგის ექსპერტების რეკომენდაციების მიმღებლობა ჰქონდეთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ - „დურგალი“ /00934/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 10**

**წინააღმდეგი: 0**

### **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - დურგალი /00934 (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 12 მარტი.

**2. შპს MAGNIUM+ -სთვის - „VRF & VRV სისტემების მომსახურება“ /00998/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ლანა გაჩეჩილაძემ წარადგინა საბჭოზე დასკვნის პრეზენტაცია. აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მომზადების პროგრამა „VRF & VRV სისტემების მომსახურება“ ანუ გაგრილების სისტემების მომსახურება. ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, ა/წ 19 თებერვალს.

ხარვეზი დაფიქსირდა მხოლოდ მეორე სტანდარტთან, კერძოდ,

**2.1 ქვესტანდარტი:** განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები 2020 წლის ნოემბერში / დეკემბერში და მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2021 წლის 31 დეკემბრამდე, ანუ ერთ წელზე მეტი ვადით, თუმცა გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ არსებით პირობას, როგორცაა „ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულების მიცემის წესი“.

გაიცა რეკომენდაციები:

**1.2 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია, პროგრამაში, საწყის კვირებში თემატიკის სახით დაემატოს: ძირითადი ფიზიკური სიდიდეები; მაცივარი მანქანის მუშაობის სქემა და შემადგენელი ელემენტების დახასიათება.

**1.9 ქვესტანდარტი:** რეკომენდირებულია, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაზუსტდეს ერთდროულად რამდენი მსმენელის მიღებას შეძლებს პრაქტიკის ობიექტი.

**1.10 ქვესტანდარტი:** რეკომენდირებულია, მსმენელთა შეფასების სისტემაში გათვალისწინებული იქნეს, დაწესებულების სიტყვიერი განმარტება, რომ მეოთხე სასწავლო კვირაში იგეგმება მხოლოდ პირველი სამი სწავლის შედეგის თეორიული ნაწილის შუალედური განმსაზღვრელი შეფასება, ხოლო ბოლო სასწავლო კვირას - ოთხივე სწავლის შედეგის პრაქტიკული განმსაზღვრელი შეფასება. ასევე გარემოება, რომ მე-4 კვირის განმსაზღვრელი შეფასებისას სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში (განმეორებითი შეფასებისას) მსმენელს შეუწყდება სტატუსი.

**2.1 ქვესტანდარტი:** რეკომენდირებულია, პროფესიული მომზადების პროგრამის გამახორციელებელ პირებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა არსებითი პირობა.

**2.2 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, პრაქტიკული სამუშაოების რამდენიმე ჯგუფში პარალელურ რეჟიმში ეფექტურად ჩატარებისთვის გაზრდილი იყოს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების (ციფრული მანომეტრი, თერმომეტრები და სხვ.) რაოდენობა. რეკომენდირებულია, საჯარო რეესტრის ამონაწერში განახლდეს შპს MAGNIUM+ ის შენობის მისამართი.

**3.2 ქვესტანდარტი:** რეკომენდებულია, ორგანიზაციის „მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პლიკანტთა შერჩევის, მსმენელის სტატუსის მინიჭების და შეწყვეტის წესის“ მუხლი 4-ის მე-5 პუნქტში დაზუსტდეს, რომ გასაუბრების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ორგანიზაცია შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე მიაწვდის ინფორმაციას აპლიკანტს შერჩევის პროცედურის შესახებ.



**3.4 ქვესტანდარტი:** რეკომენდირებულია, კვლევის ფორმების ჩამონათვალს დაემატოს კურსდამთავრებულთა კვლევის ფორმა. ასევე რეკომენდირებულია აღნიშნული ფორმები შემუშავდეს გონივრულ ვადაში, დროულად მომზადების პროგრამის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

პროგრამა არის მომზადების, მეოთხე დონე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა 60, განხორციელების ადგილი ქ. თბილისი, ლ. ანდრონიკაშვილის ქ. N4/გ.

შემდეგ წარმოადგინა ფოტო მასალა, შენობის, რომელზეც ორგანიზაციის ბრენდული სახელი „midea“ იყო მითითებული. წარმოადგინა ფოტოებზე სასწავლო გარემოები, სადაც სტუდენტთა სწავლება მოხდება, მცირე ფართები, ცალკე ოთახები მცირე ჯგუფებისთვის, სადაც დარგობრივი მოწყობილობებია განთავსებული. აღნიშნა, რომ მსმენელები დაშლიან და ააწყობენ სწავლების პროცესისთვის გამოყოფილ ყველა წარმოდგენილ აღჭურვილობას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საინტერესო პროგრამა ჩანს და საჭირო ბიზნესისთვის. მან თხოვა დაწესებულებას ესაუბრა რა ბიზნეს მოდელი აქვთ, რა პროგრამაა, რატომ გადაწყვიტეს ამ პროგრამის გაკეთება და რა მოლოდინები და მოტივაცია აქვთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო დაწესებულების წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოს ესწრებოდნენ. დაწესებულების ბრენდული სახელწოდების შესახებ. დაწესებულება 2000 წლიდან ფუნქციონირებს და მოიცავს საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს. მრავალწლიანი გაყიდვების, სერვისის შემდეგ გადაწყვიტეს ამ პროგრამის განხორციელება. რაც შეეხება რეკომენდაციებს, გათვალისწინებულია და გასწორებულია ან გასწორდება შესაბამისად. ხარვეზი, ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გასწორებულია, შეცვლილილია ხელშეკრულებები.

ლანა გაჩეჩილაძემ დაადასტურა, რომ მიიღო შეცვლილი ხელშეკრულებები და ხარვეზი გასწორებულია.

შემდეგ დარგის ექსპერტმა ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ მეტად საინტერესო და მოთხოვნადი პროგრამაა. ჰაერის კონდიციონირების თანამედროვე სისტემების მომსახურება შრომის ბაზარზე მეტად აქტუალურია. შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ აქვთ ძალიან კარგი მატერიალური ბაზა, ადამიანური რესურსი და მისი აზრით ყველანაირი პირობა აქვთ მოამზადონ სპეციალისტები, იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც მიეცათ.

ნიკოლოზ მესხიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაწესებულებას საინტერესო პროგრამისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ორგანიზაციას, რომ პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ საქმეს. გამოთქვა სურვილი კიდევ ბევრი პროგრამებით შემოვიდნენ და წარმატებული მაგალითი გახდნენ სხვა კომპანიებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს MAGNIUM+ -სთვის - „VRF & VRV სისტემების მომსახურება“ /00998/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 10**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - MAGNIUM+-ს (ს/კ: 400019494) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - VRF & VRV სისტემების მომსახურება /00998 (დანართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 12 მარტი.

**3. შპს არსისთვის – „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ /00990/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა დარგის ექსპერტმა, მაია ხურცილავამ. მან თქვა, რომ ვიზიტი პირველად განხორციელდა დეკემბრის თვეში და თებერვალში საბჭომ დაწესებულებას მისცა ხარვეზის გამოსწორების ერთთვიანი ვადა. დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა, გაითვალისწინა საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციები, რაც ეხებოდა სათაურის დაზუსტებას და თემატიკაში თეორიული კომპონენტის ასახვას. პროგრამა გადამოწმდა მხოლოდ პირველ სტანდარტთან მიმართებაში, პროგრამის სახე არის მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, შეცვალა დაწესებულებამ დონე და წარმოადგინა როგორც მესამე საფეხური, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, სწავლების ენა-ქართული, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - 10, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა -40, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4. ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, ა/წ 2 მარტს. ექსპერტმა განმარტება გააკეთა დასკვნაში პროგრამის პარამეტრებში ტექნიკური უზუსტობაა პროგრამის სახელწოდებასთან მიმართებაში. პროგრამის სახელწოდებაა „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“. განმეორებითი შეფასებისას გამოვლინდა ხარვეზი **1.10 ქვესტანდარტის** მიმართებაში.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური. პროგრამაში წარმოდგენილი შეფასების მეთოდები ვერ უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის დადასტურებას. დაწესებულებამ უნდა მოახდინოს შეფასების მეთოდების გადახედვა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგის სრულად დადასტურება. პროგრამის სწავლის შედეგების ცვლილებამ გამოიწვია სწავლის შედეგების

შეფასების ცვლილებაც და გაიცა რეკომენდაცია **1.6. ქვესტანდარტთან** - პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო კვირისთვის გაწერილი თემატიკა არ არის თანხვედრაში შესაბამისი კვირის სწავლის შედეგთან. რეკომენდირებულია დაწესებულებამ მოახდინოს კვირების მიხედვით თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგის გადახედვა.

ექსპერტმა ისაუბრა სხვა ქვესტანდარტებთან დაკავშირებით:

**ქვესტანდარტი 1.1-** წარმოდგენილი პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების /პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. დაწესებულებას ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის სუბიექტების/პოტენციური სოციალური პარტნიორების გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანი იყო დაედგინათ დაგეგმილი პროგრამის სწავლის შედეგის მქონე პროფესიული კადრის საჭიროება და კონკრეტული კომპეტენციების ფლობის აქტუალობა. გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენლები ცალსახად ადასტურებენ პროგრამის ფარგლებში მისაღწევი შედეგის მქონე კადრის საჭიროებას.

**ქვესტანდარტი 1.2** - პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს. სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგებიდან და თემატიკიდან.

**ქვესტანდარტი 1.3** - პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული - პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა შეძლოს ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა, მარტივი ბუღალტრული ოპერაციების შესრულება: პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციის საფუძველზე მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში შეყვანა ანგარიშთა გეგმის გამოყენებით; მონაცემთა დაკორექტირება და შენახვა;

პროგრამის სწავლის შედეგებია:

1. ბუღალტრული აღრიცხვის საგნის ელემენტების შინაარსის და თავისებურების ჩამოყალიბება;
2. პირველადი დოკუმენტების მონაცემების შეტანა კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში;
3. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მონაცემების რედაქტირება და მონაცემების შენახვა.

შესაბამისად, დასტურდება პროგრამის მიზნის შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგთან.

**ქვესტანდარტი 1.4** - პროგრამაში განსაზღვრულია დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება.

აღნიშნული შეესაბამება კანონმდებლობას და მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია.

**ქვესტანდარტი 1.5** - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს. პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების, მეთოდებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნას და გააზრებას, პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელს შეუძლია სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება დავალებების შესასრულებლად პროგნოზირებად, ნაწილობრივ ცვალებად გარემოში.

**ქვესტანდარტი 1.6** - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით და კომპეტენციით.

**რეკომენდაცია:** პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო კვირისთვის გაწერილი თემატიკა არ არის თანხვედრაში შესაბამისი კვირის სწავლის შედეგთან. რეკომენდირებულია დაწესებულებამ მოახდინოს კვირების მიხედვით თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგის გადახედვა.

**ქვესტანდარტი 1.7** - წინამდებარე პროფესიული მომზადების პროგრამა ეფუძნება „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული სტანდარტის ორ მოდულს. დაწესებულებამ რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში შეიტანა მცირე თეორიული კომპონენტი, რის საფუძველზე გაზარდა პროგრამის ხანგრძლივობა.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 9 კვირას, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 10 საათს, მათ შორის შეფასებისთვის გამოყოფილია 4 საათი. პროგრამის

ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

**ქვესტანდარტი 1.8** - პროგრამაში გამოყენებულია თეორიული სწავლება, ინტერაქციული ლექცია და პრაქტიკული სწავლის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მასწავლებელი ახდენს ლექციაზე თეორიული მასალის გადაცემას, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობაზე ხდება პროფესიული/პრაქტიკული უნარების დემონსტრირება. კურსის მსმენელები ჯერ პროფესიული მასწავლებლის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და განივითარებენ სწავლის შედეგის ფარგლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს. ლექციის მსვლელობისას კი აქცენტი გაკეთებულია ინტერაქციულ სწავლებაზე. წარმოდგენილ პროგრამაში გაწერილი სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მსმენელის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე დაწესებულება გეგმავს ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას.

**ქვესტანდარტი 1.9** - პროგრამის ფარგლებში სწავლება განახორციელდება ელექტრონული ბუღალტერიის ერთ-ერთი პროგრამის სასწავლო ვერსიაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით.

**ქვესტანდარტი 1.10** - პროგრამის სწავლის შედეგი ითვალისწინებს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ კომპონენტს. პროგრამაში განსაზღვრული შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის შეფასებას, რაც გულისხმობს პრაქტიკული დავალებების შესრულების გზით შედეგის დადასტურებას.

კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით, პრაქტიკული დავალებები განსაკუთრებით დაეხმარება მსმენელს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევაში.

**ხარვეზი:** პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური. პროგრამაში წარმოდგენილი შეფასების მეთოდები ვერ უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის დადასტურებას. დაწესებულებამ უნდა მოახდინოს შეფასების მეთოდების გადახედვა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგის სრულად დადასტურება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დასვა, რამ გამოიწვიოდა ისევ ხარვეზის წარმოშობა. ეს იყო ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა და პროგრამა წარმოდგენილია ისევ ხარვეზით და რეკომენდაციით.

დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულებასთან ხარვეზთან დაკავშირებით იყო დისკუსია. შენიშნა, რომ გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ პროგრამის ცვლილებისას გაჩნდა არა პრაქტიკული სწავლის შედეგი და არამედ - თეორიული, თუმცა ყურადღება არ გამახვილდა შეფასების მეთოდზე. აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს პროფესიული სწავლების და თეორიული ცოდნის დადასტურების გამოცდილება.

დაწესებულების დირექტორმა, ნათია ნოზაძემ განმარტება გააკეთა დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით. პირველ რიგში აღნიშნა, რომ შედეგები მათ არ შეუცვლიათ, პროგრამა ფაქტიურად არ შეუცვლიათ. მიიღეს რეკომენდაცია, რომ კარგად გამოჩენილიყო თეორიული ნაწილი და რადგან მომზადების პროგრამის შემუშავების პირველი გამოცდილებაა, დაეყრდნენ ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტის მოდულებს. მათ შედეგები საერთოდ არ შეუცვლიათ, მხოლოდ გამოყვეს და გამოაჩინეს თეორიული ნაწილი. მასწავლებელი ჯერ თეორიულად აუხსნის და შემდეგ გადადის პრაქტიკულ ნაწილზე. რაც შეეხება თეორიული კომპონენტის შეფასებას, მთელი პროგრამა ფასდება, ცალკე ბრძანებითაც აქვთ განმავითარებელი შეფასებები. აქვე შენიშნა, რომ პროგრამით მომზადდება არა ბუღალტერი

არამედ ტექნიკურად შემსრულებელი პერსონალი, რადგან ამ პროგრამის საბოლოო მიზანია პრაქტიკულად სწორად შეიტანოს მონაცემები, პრაქტიკული დავალებების შესრულება, სადაც დასტურდება მისი ცოდნა და თეორიულად თუ არ იცის ისე, ვერ გააკეთებს პრაქტიკულ დავალებას.

ლანა გაჩეჩილაძემ ეკრანზე გააზიარა პროგრამის სწავლის შედეგები. რადგან პროგრამაში არსებობს სამი სწავლის შედეგი, სამივეს შედეგი უნდა დასტურდებოდეს. მისი მოსაზრებით, პრაქტიკული დავალებით შეუძლებელია პირველი სწავლის შედეგის დადასტურება.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების დირექტორს განემარტა როგორ ადასტურებენ პირველი სწავლის შედეგის მიღწევას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს საკითხები ჩაშლილია შემდეგ კვირებში.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ ეს საკითხები ჩაშლილია შემდეგ კვირებში, რატომ გამოიტანეს ცალკე სწავლის შედეგად და რადგან ცალკდე გამოიტანეს, მაშინ უდავოა, უნდა დასტურდებოდეს სწავლის შედეგის მიღწევაც.

გიორგი გამყრელიძის აზრით, პროგრამის ძირითადი საკითხია კონკრეტული უნარის შესწავლაზე, თეორიაზე არ არის აქცენტი, ცნებების გაცნობაზეა საუბარი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, შესაძლებელი იყო არც გამოეტანათ ცალკე სწავლის შედეგად პირველი სწავლის შედეგი.

დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ რადგან დაწესებულებამ გადაწყვიტა თეორიული ნაწილის დამატება, სწავლის შედეგი შეიცვალა და დამატებით მესამე სწავლის შედეგიც გაჩნდა, ამიტომ უნდა მოხდეს ამ სწავლის შედეგის ცოდნის დადასტურება. თეორია უნდა ასწავლოს და შედეგიც უნდა დადასტურდეს.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არსისთვის – „კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ /00990/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 0**

**წინააღმდეგი: 10**

### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

შპს „არსს“ (ს/კ: 216427999) უარი ეთქვას განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა /00990.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 12 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს არსს, დრო ჰქონდა მიცემული ხარვეზის გამოსასწორებლად, დაფიქსირდა ისევ ხარვეზი, საბჭომ იმსჯელა ამასთან დაკავშირებით, გაეზიარებინათ თუ არა ხარვეზი და მივიდნენ დასკვნამდე, რომ შედეგების დადასტურება განმსაზღვრელი შეფასებით უნდა მოხდეს, ეს აუცილებლად მიაჩნიათ საგანმანათლებლო სივრცეში. აქედან გამომდინარე, გაიზიარეს ექსპერტის მოსაზრება. დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა განმეორებით შემოიტანოს განაცხადი და სიამოვნებით განიხილავენ საკითხს. ამჟამად საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება უარი ეთქვათ პროგრამის განხორციელებაზე

საბჭომ, კომენდანტის საათის მოახლოების გამო, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი გადადო უახლოეს საბჭოს სხდომაზე და მეოთხე საკითხად განიხილა ცენტრის შუამდგომლობით დამატებული საკითხი.

**4. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ „დეკორატიული მცენარეების გამრავლების“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ” პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 5 აგვისტოს №666066 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.**

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადთან“ დაკავშირებით ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს ცნობის სახით მიაწოდა ინფორმაცია: 2020 წლის 5 აგვისტოს საბჭომ კოლეჯი „განთიადს“ მიანიჭა უფლება „დეკორატიული მცენარეების გამრავლების“ პროგრამის განხორციელებაზე და საბჭომ რეკომენდაცია გასცა, სანამ მიღებას გამოაცხადებენ, დაზუსტებულიყო პროგრამაში რომელ დეკორატიულ მცენარეებზე იქნებოდა სწავლება და აგრეთვე დაზუსტებულიყო ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან. კოლეჯს 2020 წელს არ გამოუცხადებია პროგრამაზე მიღება. 2021 წლის გაზაფხულზე გეგმავენ მსმენელთა მიღებას და შესაბამისად წარმოადგინეს ცენტრში წერილი №192939 (04.03.2021), გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მსმენელთა მიღებას ჩქარობენ სეზონურობის გათვალისწინებით, აგრეთვე პროექტის (რომლის ფარგლებშიც თანამშრომლობენ მუხრანის საჯარო სკოლასთან) ვადების გათვალისწინებით.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია შეცვლილი პროგრამა, თუმცა არ არის წარმოდგენილი პარტნიორ ორგანიზაციასთან, შატო მუხრანთან გაფორმებული ხელშეკრულება. პირადად ესაუბრა კოლეჯის წარმომადგენლებს და მათ განუმარტეს, რომ ფიზიკურად ამ ორგანიზაციას არ აქვს შესაძლებლობა გააფორმოს ასეთი ტიპის ხელშეკრულება. ამდენად, უცვლელ რეჟიმში, აპირებენ შპს „ნაკადულთან“ თანამშრომლობას, რომელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც უკვე წარმოდგენილი იყო წარმოების ფარგლებში. აღნიშნა, რომ პროგრამა საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, ხორციელდება ორ ადგილზე. ერთი არის თვითონ კოლეჯი „განთიადი“ და თანამშრომლობენ შპს „ნაკადულთან“ და მეორე განხორციელების ადგილია მუხრანის პირველი საჯარო სკოლა, სადაც C გარემო ადგილზე აქვს სკოლას და პრაქტიკული კომპონენტი იქ განხორციელდება. განახლებული პროგრამის თანდართულ დოკუმენტში, ცხრილების სახით, სეზონურობის მიხედვით წარმოდგენილია მცენარეების დასახელება, ორივე მისამართისთვის. განახლებული პროგრამა დანართებით წარმოუდგინა საბჭოს.

ასევე აღნიშნა, რომ გარდა ამისა, პროგრამის დოკუმენტში არის გარკვეული ცვლილებები, რომელიც ეხება უშუალოდ პროგრამის სახელწოდებას, დაზუსტდა რომ მცენარეების გამრავლება ხდება ღია გრუნტში, გარდა ამისა, დაშვების წინაპირობაში, ადრე იყო

გათვალისწინებული მინიმალური ასაკი 18 წელი და ეხლა ამოიღეს. ორგანიზაციის განმარტებით, ფიქრობენ, რომ ასაკი შეიძლება პროგრამით დაინტერესებული ზოგიერთი პირისათვის შემზღუდავი აღმოჩნდეს.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ საბჭო თუ ეთანხმება წარმოდგენილ ინფორმაციას, საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების დანართში უნდა დაზუსტდეს პროგრამის შეცვლილი სახელწოდება.

გიორგი გამყრელიძემ პრობლემურად მიიჩნია პროგრამის დაშვების წინაპირობის შეცვლა. უშუალოდ მომზადების/გადამზადების პროგრამისთვის დასაქმების ხელშეწყობაა მთავარი. მიდგომა, რომ 18 წლის ასაკი შეიძლება შემზღუდავი გახდეს, არ მოსწონს, ვინაიდან შეიძლება 15 წლის ადამიანიც, სკოლის მოსწავლეებიც დარეგისტრირდნენ პროგრამაზე.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ მუხრანის სკოლასთან, კოლეჯი თანამშრომლობს პროექტის ფარგლებში და პროექტის მიზანია სკოლის მოსწავლეები ჩაერთონ პროგრამაში, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას ან თვითდასაქმებას. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, საბაზო განათლების მქონე მოსწავლეების, 15-16 წლის მოსწავლეების პროგრამის მსმენელებად ჩართვა პრობლემას არ წარმოადგენს.

დაშვების წინაპირობაში, ასაკის შეცვლასთან დაკავშირებით, საბჭომ დაინახა შესაძლო რისკი რამდენად სრულყოფილად მოხდება პროგრამაში მსმენელთა ჩართვა თუ პარალელურ რეჟიმში ეს პირები სკოლის მოსწავლეები იქნებიან, ხომ არ შეაფერხებს ეს გარემოება გადამზადების პროგრამის სასწავლო პროცესს და რამდენად სრულყოფილად მოხდება მსმენელების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა.

ვინაიდან პროგრამის განსახორციელებლად წლის შესაფერისი სეზონია, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია, არ შეფერხდეს მიღების პროცესი და პროგრამის სახელწოდება შეიცვალოს გადაწყვეტილებაშიც, თუმცა პროგრამაზე მსმენელთა პირველივე მიღებისას, სასწავლო პროცესის საკითხებზე, პროგრამის დაშვების წინაპირობის ჭრილში ჩაინიშნოს მონიტორინგი პირველ და მესამე სტანდარტთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ „დეკორატიული მცენარეების გამრავლების“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ” პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 5 აგვისტოს №666066 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე:** 10

**წინააღმდეგი:** 0

### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ „დეკორატიული მცენარეების გამრავლების“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების

შესახებ” პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 5 აგვისტოს №666066 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

- ა) შეიცვალოს ბრძანების სათაური და ჩამოყალიბდეს: „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ „დეკორატიული მცენარეების გამრავლება ღია გრუნტში“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ”
- ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 3).

**პროგრამაზე მსმენელთა პირველივე ნაკადის მიღების შემდეგ, სასწავლო პროცესის განხორციელების საკითხებზე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ჭრილში ჩაინიშნოს მონიტორინგი პირველ და მესამე სტანდარტთან დაკავშირებით.**

19:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა





დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00934	დურგალი	მომზადება	მესამე	14	ქართული	10	ქ. ქუთისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00998	VRF & VRV სისტემების მომსახურება	მომზადება	მეოთხე	9	ქართული	60	ქ. თბილისი, ლ. ანდრონიკაშვილის ქ. №4გ

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00461	დეკორატიული მცენარეების გამრავლება ღია გრუნტში	გადამზადება	მესამე	6	ქართული	12	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
						12	მცხეთის რაიონი, ს. მუხრანი